მოსწავლესთან ერთად წაიკითხეთ მოთხრობა, შემდეგ სთხოვეთ ნახატების შესაბამისი სიტყვები მოძებნოს და ჩასვას ნახატის ადგილას.

ჩხუბი

იაკობ გოგებაშვილი

ერთხელ ადამიანის სხეულის ნაწილები ერთმანეთს წაეკიდნენ.

თქვეს: - აღარ გვინდა თქვენი ტარება, თუ კარგია, თქვენ თვითონ იარეთო!

წამოიძახეს: - გვეყო თქვენთვის ამდენი მუშაობა, ახლა თქვენ თვითონ იმუშავეთ, თუ კარგიაო.

წაიბურდღუნა: - განა სულელი ვარ, მუდამ გაჭამოთ და გასვათ, აღარ მინდა თქვენთვის საჭმლის ღეჭვაო!

ამბობდნენ: - მოგვწყინდა ამდენი თქვენი დარაჯობა, აღარ გვინდა თქვენთვის ცქერაო.

ხელი აიღეს სმენაზე. ასე წაიჩხუბნენ ადამიანის სხეულის ნაწილები და შეწყვიტეს ერთმანეთის სამსახური. მაგრამ რა გამოვიდა? უერთმანეთოდ ყველა დასუსტდა. სხეული სულ ჩამოხმა და მომაკვდავს დაემსგავსა. მაშინ მიხვდნენ სხეულის ნაწილები, რომ ჩხუბით ისინი ერთმანეთს დაღუპავდნენ; ისევ შერიგდნენ, ერთმანეთს დაეხმარნენ და სხეული უწინდელივით ჯანსაღი და ღონიერი გახდა.

თვალები	ფეხებმა	ყურებმაც	პირმა	ხელებმა

დაეხმარეთ მოსწავლეს, შეკითხვების წაკითხვაში შემდეგ კი სთხოვეთ კურსორით მონიშნოს სწორი პასუხები.

1. სხულის რომელი ნაწილის დამსახურებაა, მუსიკა რომ გვესმის?

ყურის	ცხვირის	ხელის	პირის

2. რომელი ორგანოს დამსახურებით ვხედავთ გარშემო ყველაფერს?

შუბლის	ცხვირის	თვალების	პირის

3. ჩვენი სხეულის რომელი ნაწილების დახმარებით დავრბივართ?

ხელების	მხრების	იდაყვების	ფეხების

4. ჩამოთვალე კიდევ რომელი სხეულის ნაწილები იცი.